



## კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

კვლევის ავტორი: ნინო კვირიკაშვილი  
ვადები: 10 ოქტომბერი- 10 ნოემბერი, 2011

მედიის განვითარების ფონდი წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგებს თემაზე: კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში. მონიტორინგი ჩაატარა ჟურნალისტმა ნინო კვირიკაშვილმა პროექტის „მედია მონიტორინგი – პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარებისთვის“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე პერიოდში გამოქვეყნებული სტატიებისა და სიუჟეტების ანალიზს კულტურის თემებზე.

გაანალიზებული იყო გაზეთებში - „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“ და „24 საათი“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ასევე ტელევიზიების- რუსთავი 2, იმედი, პირველი არხი, მაესტრო და კავკასიაზე მთავარ გამოშვებებში გასული სიუჟეტები.

გამოქვეყნებული მასალების გასაანალიზებლად გამოყენებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: საკითხის მნიშვნელოვნება; სიზუსტე, ბალანსი, წყაროების რაოდენობა და სპეციფიკაცია, წერის სტილი, მასალის სტრუქტურა, ციტატები, ლიდი, ვიზუალური მასალის შესაბამისობა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართული მედია, ერთის მხრივ, კულტურის საკითხებისადმი დიდ ინტერესს ავლენს, თუმცა, საკითხების სპექტრის, მრავალფეროვნების და ჟურნალისტიკის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით მრავალ ხარვეზს შეიცავს. მაგალითად, თემატიკა ხშირად აბსოლუტურად ერთფეროვანია – ხშირია თემების დამთხვევა, (მოამბის, კურიერის და ქრონიკის მაგალითზე), ზოგჯერ არა თუ მარტო თემის, მთლიანად სიუჟეტები იმეორებენ ერთი მეორეს. ვხვდებით სხვადასხვა არხებზე გასულ სიუჟეტებში ერთსა და იმავე რესპოდენტებს, ერთსა და იმავე სინქრონებს და ხშირად კადრებსაც კი, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია სწორედ მაშინ, როცა საქმე კულტურის საკითხის გაშუქებას ეხება. მოგეხსენებათ, ამ თემატიკაზე შექმნილ სიუჟეტს უფრო მეტად მოეთხოვება

ავტორების მხრიდან ორიგინალური მიდგომა და კრეატიულობა, ვიდრე წებისმიერ სხვა თემაზე გაკეთებულ რეპორტაჟს.

### რაოდენობრივი ანალიზის შედეგები

ანალიზმა გვიჩვენა რომ ხშირად შინაარსობრივად ტელევიზიები იმეორებენ თემებს. იმისათვის რომ უკეთ გვეჩვენებინა, კულტურის თემების პრიორიტეტები ქართულ მედიაში, ჩვენ ავიღეთ რამდენიმე თემა: კინო, მხატვრობა, მუსიკა (კლასიკური და პოპმუსიკა), თეატრი, ლიტერატურა, მოდა და მოვახდინეთ ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტებისა და სტატიების რაოდენობრივი მონიტორინგი 1 თვის მანძილზე.

ქართული ტელევიზიებში კულტურის თემატიკის გაშუქების რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგების თანახმად, ერთი თვის განმავლობაში ტელევიზიებში გასულია:

არხი	სიუჟეტების რაოდენობა
მომბე, საზ.მაუწყებელი	60 სიუჟეტი
კურიერი, რუსთავი 2	55 სიუჟეტი
ქრონიკა, იმედი	52 სიუჟეტი
ახალი ამბები, მაესტრო	19 სიუჟეტი
დღეს, კავკასია	3 სიუჟეტი

როგორც კვლევა გვიჩვენებს, კულტურის თემატიკის გაშუქების რაოდენობის თვალსაზრისით საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველა არხს უსწრებს. მას ფეხდაფეხ მიჰყვება კურიერი და ქრონიკა.

სპეციფიურია ისიც, რომ „მომბე“ კულტურას ცალკე ბლოკს უთმობს, ცალკე წამყვანით და განსხვავებული სტუდიით. იგივე ხდება იმედიც. ტელეკომპანია „იმედის“ სიახლეა ის, რომ ბოლო ხნებში საინფორმაციო გამოსვებებში კულტურის თემატიკის გასუქების დროს შემოტანილია თოქ-შოუს ელემენტი, კერძოდ: სალომე არშბას (კულტურის ბლოკის წამყვანს) ეთერში ჰყავს სტუმრები. მაგალითად ჩვენი კვლევის დროს, მას ჰყავდა ელექტონული მუსიკის ერთ-ერთი პიონერი საქართველოში დჯ ჟორჟიკა და ასევე ჰყავდა ახალი წიგნის ავტორი ნინო ცინცაძე. შეიძლება ითქვას რომ ეს არის მცდელობა უფრო ცოცხალი გახდეს კულტურის თემა ტელესივრცეში. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს აისახება უფრო გაშუქების ტექნიკაზე და განსაკუთრებულ თემატურ მრავალფეროვნებას არ იწვევს.

რაოდენობრივი თვალსაზრისით თვალში საცემია სიუჟეტების სიმცირე მაგალითად, „კავკასიის“ ეთერში. ერთი თვის მანძილზე ჩვენ დავთვალეთ 3 ს ბლოკში ასევე გაშუქებული იყო რელიგიური დღესასწაულების თემატიკაც, თუმცა ჩავთვალეთ რომ ამ შემთხვევაში რელიგიური თემატიკის გაშუქების კულტურაში შეტანა მლიან კონტექსტს დაარღვევდა და იმ თემატიკას გასცდებოდა, რომელიც ჩვენ მონიტორინგის საგნად დავსახეთ. ამიტომ ამ მონიტორინგში რელიგიის საკითხების გაშუქებას არ შევხებით.

რაც შეეხება თემატიკის მიხედვით მასალის რაოდენობას, ჩვენმა კვლევამ შემდეგი რეზულტატი აჩვენა:

გრაფიკი თემატიკის მიხედვით:

არხი	მუსიკა	კინო	მოდა	მხატვრობა	თეატრი	შოუ-ბიზი	ფოტო	ლიტერატურა
პირველი არხი	21	8	5	5	9	5	3	5
რუსთავი 2	18	8	3	10	1	8	1	4
იმედი	9	11	9	8	4	6	1	
მაესტრო	5	4	1	4	2			5
კავკასია				1				2

### კულტურის თემატიკის გაშუქების შინაარსობრივი სტრუქტურა

როგორც რაოდენობრივი მონიტორინგიდან ირკვევა, ქართული ტელევიზიებში სჭარბობს სიუჟეტები მუსიკასა და კინოზე. შემდეგ მას მოჰყვება სიუჟეტები თეატრზე, მხატვრობაზე და ა.შ.

ხშირია თემების გადაკვეთის მომენტიც. ასე მაგალითად: 1 ნოემბრის „მომბეში“ (საზოგადოებრივი არხი) და „კურიერში“ (რუსთავი 2) გავიდა სიუჟეტი გუგა კოტეტიშვილის გამოფენის შესახებ. პერსონალური გამოფენის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში საუბარია იმაზე, თუ როგორ ემზადება მხატვარი გამოფენისთვის „სარკეები“. ჟურნალისტი ამბობს, რომ **„გუგა ყველა წესის დარღვევით მუშაობს“**. უნდა ითქვას რომ ორივე სიუჟეტი ვიზუალის ანუ კადრების თვალსაზრისით თითქმის იდენტურია. ერთმანეთს იმეორებს რესპოდენტის სინქრონიზაციას. თუმცა თავად ჟურნალისტების ტექსტები ერთმანეთისგან განსხვავებულია.

თემა მეორდება ასევე ფრანგი ფოტოგრაფის ვინსენტ ლაპარტიენის გამოფენის გაშუქების დროსაც. „მომბე“ და „კურიერი“ აქაც ერთ თემას ირჩევენ, თუმცა 2 დღის გამოტოვებით. ერთი თავად მზადებას ეხება, მეორე – უკვე ოფიცერთა სახლში გამართულ გამოფენას ასახავს. „ქალაქის პორტრეტები“ რუსთავი 2-მა

უკვე გახსნილი გამოფენის ფონზე წარმოაჩინა. ორივე სიუჟეტი პიარის ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ჟურნალისტიკის, აქ ვერ შეხვდებით რეცენზირების ელემენტებსაც.

ზოგადად, ერთი თვის განმავლობაში კულტურის თემატიკის გაშუქების მონიტორინგმა ქართულ მედიაში გვაჩვენა, რომ კულტურის გაშუქების დროს ჟურნალისტები სტატისტიკის როლს ითავსებენ – ისინი პირდაპირ იმეორებენ ინფორმაციის მომწოდებლის პოზიციასა და მიდგომას;

რაც შეეხება მხატვრული ნაწარმოებების თუ რაიმე კულტურული მოვლენის კვალიფიციურ კრიტიკას, შეიძლება ითქვას რომ მსგავს მცნებას ჩვენ ქართულ საინფორმაციო ტელეგადაცემებში ვერ ვხვდებით. სამაგიეროდ უხვადაა ე.წ „პოზიტივი“ სიუჟეტები, სადაც მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის, გამოფენის, მოდის კვირეულის გახსნა–დახურვა, ახალი ფილმის პრემიერა და ცნობილი მსახიობის იუბილესა, ან გნებავთ გარდაცვალებაზე მოგვითხრობენ. ასე მაგალითად, რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალების თემას „მაესტრომ“ სიუჟეტი მიუძღვნა 18 ნოემბერს, ხოლო მომდერალ ოთარ რამიშვილის გარდაცვალებას – 11 ნოემბერს. რამაზ ჩხიკვაძის შესახებ სიუჟეტი იმავე დღეს იყო „მომამბეში“ და „ქრონიკაშიც“.

ამ პეროდში არ შეგვხვედრია არც ერთი სიუჟეტი, რომელშიც იქნებოდა კრიტიკული მიდგომა და დაბალანსებული (ალტერნატიული კვალიფიციური) მოსაზრებები გასაშუქებელ თემაზე.

ერთადერთი საკითხი, სადაც გარკვეული კრიტიკის ელემენტები გამოიკვეთა, იყო კავკასიის ეთერში 14 ნოემბერს გასული მასალა მიმინოს ძეგლის გახსნის შესახებ, თუმცა ისიც ინფორმაციული შინაარსის იყო. (კადრ–სინქრონი) ერთადერთი – აქ წარმოდგენილი იყო დაპირისპირებული პოზიციები.

იგივე თემას ანუ „მიმინოს“ ძეგლს უფრო ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა „მაესტრომ“. 2:47 ქრონომეტრაჟის სიუჟეტში საუბარია იმაზე თუ როგორ გაიხსნა ძეგლი, ვინ ესწრებოდა გახსნას და ა.შ. სასურველი იქნებოდა რომ სიუჟეტის შემქნელებს ეზრუნათ არამარტო ძეგლის გახსნასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი აზრთა სხვადასხვაობის გადმოცემაზე, არამედ დაინტერესებულიყვნენ, თუ რას ფიქრობენ არტ–კრიტიკოსები და სხვა მოქანდაკეები თავად ძეგლის, როგორც მხატვრული ღირებულების შესახებ. ამ შემთხვევაში გაშუქებას უფრო პოლიტიკური კონტექსტი ქონდა და არა კულტურული.

პრობლემური თემატიკის გაშუქების მაგალითია „მაესტროს „ ეთერში 12 ნოემბერს ოშკის შესახებ გასული სიუჟეტი, რომელიც პრობლემურ თემას– ოშკის მდგომარეობას ეხება. საუბარია მსოფლიოს ძეგლთა ფონდის მიერ ოშკის მდგომარეობით დაინტერესების შესახებ. ფონდი მსოფლიო ორგანიზაციებს, დონორებს და ფონდებს ძეგლის გადარჩენისაკენ მოუწოდებს. „თუ ძეგლი რესტავრაცია უახლეს მომავალში არ დაიწყო, შეიძლება 11 საუკუნოვანი ტაძარი მხოლოდ ისტორიას შემორჩეს“ – ნათქვამია სიუჟეტში.

კვლევის შედეგად ასევე ირკვევა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული ტელეარხები უთმობენ მოდის თემას. აქ გასათვალისწინებელია, რომ მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა ერთ-ერთ მოდის კვირეულს საქართველოში. 13 ნოემბერს დაიწყო საქართველოს მოდის კვირეული. „ქრონიკა“ პირველივე დღეს გვთავაზობს ექსკლუზიურ მასალას დიზაინერ დევიდ კომას შესახებ. ესაა სიუჟეტი იმის შესახებ, თუ როგორ გაიარა ცნობილმა დიზაინერმა ტრადიციული, უფრო სწორად, ალბათ უკვე „გაცვეთილი“ გზა ძველ თბილისში რესტორან „პურის სახლის“ გავლით, და „აუცილებელი“ ატრიბუტით – ანუ თონეში ქართული პურის გამოცხობით. ქრონიკაში მოდის შესახებ გასულ სიუჟეტებში შეხვდებით ასეთ გამოთქმებს – **„მოდის ციებ-ცხელება“**, **„მოდური სამყაროს დიდი მოვლენა“** და ა.შ

რას შეეხება რუსთავი 2–ს, 9 საათიან კურიერში კულტურის ბლოკში მოდის კვირეულის გახნასთან დაკავშირებით არის ჩართვა, სადაც ჟურნალისტი საუბრობს ეროვნული მუზეუმიდან. **„ეროვნულ მუზეუმში გახსნა სოლიდურობას სძენს მოდის კვირეულს“** – ამბობს ჟურნალისტი. ამის მიზეზად ის ასახელებს მუზეუმში წარმოდგენილ პერფორმანსს, სადაც **„პირველი კოლექცია იყო შედეგების სერიიდან“** – (სტილი დაცულია). ანუ საუბარია სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმებზე, რომლებიც ეროვნული მუზეუმის დარბაზში სუბიშვილების მოცეკვავეებმა წარმოადგინეს.

აქვე რუსთავი 2 მიმართავს კარგად ნაცად ხერხს – როცა კონკურენტ არხს აქვს ექსკლუზივი დევიდ კომასთან, ის 9 საათიან კურიერში კომას სინქრონით შემოიფარგლება და ერთი კითხვით მიმართავს დიზაინერს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ის თბილისელი ქალბატონების ჩაცმულობას.

**„გაზაფხული–ზაფხული და ძალიან ბევრი ფერი ერთად“** – ეს უკვე მაესტროს ეთერში 14 ნოემბერს გასული სიუჟეტის წარდგენაა, რომელიც ასევე მოდის კვირეულს მიეძღვნა. 2:12 ქრონომეტრაჟის სიუჟეტი უშუალოდ პირველ ჩვენებებს ასახავს, რომელიც უკვე გახსნილი მოდის კვირეულის პირველ დღეს გაიმართა. თუ განვიხილავთ ამ სიუჟეტს კრეატიულობის თვალსაზრისით, ვნახავთ რომ ის დაცლილია ყოველგვარი შემოქმედებითი ძიებისაგან. თავად ენაც კი რომლითაც ჟურნალისტი ამბავს მოგვითხრობს მშრალი და ხისტია, წინადადებები – ზოგადი. იგივე შეიძლება ითქვას სიუჟეტის ვიზუალურ მხარეზეც. უმჯობესი იქნებოდა ჟურნალისტს გამოეყენებინა ე.წ ბექსტიეჯის კადრები. თუ კულისებში შესვლა მხოლოდ კვირეულის მხარდამჭერ არხებს შეეძლოთ, შეიძლებოდა გამოეყენებინათ დამსწრე საზოგადოების, დიზაინერების, სტუმრების კადრები. ეს კარგად ნაცადი ხერხი ყოველთვის იპყრობს მაყურებლის განსაკუთრებულ ყურადღებას. სასურველია უფრო მეტი მსხვილი ხედის კადრები, როდესაც საქმე მოდას და ვიზუალურ ხელოვნებას ეხება. იგივეს ვერ ვიტყვით იმავე მაესტროს ეთერში, „არტისტერიუმის“ შესახებ გასულ სიუჟეტზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კადრების თვალსაზრისითაც ეს სიუჟეტი საკმაოდ მწირია. უფრო მეტი აქცენტი ასეთ დროს უდავოა რომ ვიზუალზე უდნა გაკეთდეს. მითუმეტეს

მაშინ, როცა „არტისტერიუმი“ სწორედ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ფორუმია.

ზოგადად აღსანიშნავია, რომ მოდის კვირეულის გაშუქების დროსაც არ გვხვდება ინფორმაცია მოდის კვირეულზე წარმოდგენილი კოლექციების ხარისხის შესახებ, ექსპერტების შეფასებები, მოდის კვირეულის რეალური დონის შეფასება, მისი შედარება მსგავს მოდის კვირეულებთან და ა.შ. რაც კულტურის შესახებ სიუჟეტს მასშტაბსა და ობიექტურობას შეძენდა.

თემატიკის მრავალფეროვნების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ცალკეული დამოუკიდებელი თემები საინფორმაციო გამოშვებებში მაინც გვხვდება. მაგალითად კურიერი ამ შემთხვევაში სხვა ტელეკომპანიებზე უფრო დაინტერესებული აღმოჩნდა თანამედროვე ხელოვნებით. „**ოლეგ ტიმჩენკოს კონცეპტუალური ფერწერა**“ – ასე წარადგინეს 8 ნოემბერს სიუჟეტი ტიმჩენკოს ახალი კოლექციის „ვოგის“ შესახებ, რომლის გამოფენაც ასევე „არტისტერიუმის“ ფარგლებში გაიმართა. სიუჟეტი ჟურნალ ვოგის შესახებ ინფორმაციით იწყება და ფონადაც მას მადონას ცნობილი ჰიტის “ vogue”-ის მუსიკა ადევს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ასე სწორხაზოვანი არ ყოფილიყო მუსიკალური გაფორმება, მაგრამ უნდა ითქვას რომ სიუჟეტს ეტყობა, რომ ის ჟურნალისტის, ოპერატორისა და მემონტაჟის ერთობლივი ფიქრისა და მუშაობის შედეგია.

იგივე შეიძლება ითქვას ირაკლი ჩარკვიანის შესახებ 10 ნოემბერს „კურიერში“ გასულ სიუჟეტზე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ დაბადების დღესთან დაკავშირებით რუსთავი 2–მა ერთი კვირის მანძილზე დღის ეთერი მთლიანად ირაკლი ჩარკვიანს მიუძღვნა. თუმცა კურიერი ამ შემთხვევაში ერთგვარად „გამეორდა“. მან გამოიყენა სინქრონები იმავე დღეს გადაცემა „შუა დღის“ ეთერიდან, სადაც ჩარკვიანის ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები იყვნენ მოწვეული. თუმცა აქ მიღწეულია მთავარი მიზანი–მესიჯი რომელიც მეფეზე სიუჟეტს უნდა ქონდეს, მიდის მაყურებლამდე.

საინტერესოა ასევე „**მაესტროს**“ ეთერში გასული სიუჟეტი მუჰაჯირთა მოძრაობის მუზეუმის შესახებ. აქ საუბარია ახალგაზრდა მხატვრის ლევან ამირანაშვილის იდეაზე, რომელიც მოძრაობის მუზეუმის შექმნას აპირებს. კვლევის მიხედვით ამ თემაზე შექმნილ სიუჟეტს სხვა არხზე ვერ შეხვდებით. თავისთავად ეს კარგი ტენდენციაა, როდესაც საინფორმაციო გადაცემა ექსკლუზივებზე მუშაობს და ისეთ მოვლენას უწევს პროპაგანდირებას რასაც სხვაგან ვერ შეხვდებით. საინტერესოა სიუჟეტი ვიზუალურადაც–ავტორს გამოყენებული აქვს როგორც ფოტო, ასევე ვიდეო–არქივი, რაც თავისთავად ტელემასალას მეტ დამაჯერებლობას და ინტერესს მატებს.

## მთავარი შეტყობინებები



კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ ძირითადი გზავნილები, რაც ქართულ მედიაში კულტურის თემების გაშუქებისას ჭარბობს, კულტურული თემატიკის რეკლამირებასთან არის დაკავშირებული და არა ანალიზთან და შეფასებასთან; ტელევიზიებში ძირითად ინფორმაციული ხასიათის სიუჟეტები გვხვდება მოსალოდნელ გამოფენებზე, კინო და თეატრალურ პრემიერებზე, მოდის ჩვენებებზე, ამა თუ იმ არხის სატელევიზიო პროდუქტზე და ა.შ. სიუჟეტები არის პოზიტივის შემცველი, მაგრამ უფრო მეტად სარეკლამო ხასიათის და თითქმის არსად არ ჩანს არც პრობლემის დასმა და არც თუნდაც ზემოთ აღნიშნული რომელიმე კულტურული მოვლენის კვალიფიციური ანალიზი. თითქმის არც ერთ სიუჟეტში არაა საუბარი თავად მოვლენის მნიშვნელობაზე დამოუკიდებელი – ექსპერტული კუთხიდან.

### სიუჟეტების ჟანრობრივი სტრუქტურა

კულტურის თემაზე ქართულ სატელევიზიო ეთერში გასული სიუჟეტები უმეტესად ნიუსის ან ფიჩერის ჟანრშია გაკეთებული. თუმცა, ზოგჯერ იმდენად სჭარბობს სარეკლამო სტილი, რომ კულტურის თემატიკაზე შექმნილი საინფორმაციო სიუჟეტები პროპაგანდას ემსგავსება. იმ სიუჟეტებშიც კი, სადაც საუბარი პრობლემურ საკითხებს ეხება (მაგალითად ოშკის შესახებ სიუჟეტში, მაესტრო 12 ნოემბერი), არის შემთხვევები, როცა დასმულია ეს პრობლემა, მაგრამ თითქმის არსად ჩანს მისი გადაჭრის გზები.

### წყაროები

სატელევიზიო სიუჟეტების წყაროები, განხილულ პერიოდში, ძირითადად ერთგვაროვანია: სიუჟეტის ავტორები სიუჟეტს ძირითადად კულტურული პროექტის თუ ნამუშევრის ავტორზე და მის თანამოაზრეებზე დაყრდნობით აკეთებს, ზოგ შემთხვევაში წყაროებად გამოყენებულია ასევე მაგალითად მაყურებელი ან დამთვარიელებელი, რომელიც, როგორც წესი, პირად ემოციებზე საუბრობს;

ქართულ არხებზე წყაროების მრავალფეროვნება შეზღუდულია. სიუჟეტებში ერთი ძირითადი წყაროა წარმოდგენილი და თითქმის არსადაა დამატებითი წყარო. რასაც ზემოთაც აღვნიშნავდით, კულტურულ თემებზე გასული სიუჟეტებში აშკარად არის არტ-კრიტიკოსების სიმცირე, მაშინ როცა ჯანსაღი კრიტიკისა და ანალიზის გარდა, მათ შეეძლოთ სიუჟეტებში მეტი დამაჯერებლობისათვის იგივე წყაროს როლიც შეესრულებინათ.

გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა რომ რესპოდენტების თვალსაზრისით, ე.წ. ნაციონალურ არხებზე ვხვდებით ერთსა და იმავე პიროვნებებს; თვალში საცემი იყო ისიც, რომ მაგალითად 10 ნოემბერს „კავკასიასა“ და „მაესტროზე“

გავიდა ნიუსი „დაიცავი საქართველოს“ ლიდერის,პოეტ დავით მაღრაძის ახალი წიგნის პრეზენტაციზე და ვერსად შევხვდით იგივე ნიუსს რუსთავი 2-ზე, იმედსა და საზ.მაუწყებელზე.

### კულტურის თემების გაშუქება ბეჭდურ მედიაში

ჩვენი მონიტორინგის საგანი, ტელემედიასთან ერთად, როგორც ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნეთ, ბეჭდურ მედიაც იყო. ერთი თვის მანძილზე ჩვენ ვიკვლევდით შემდეგ გაზეთებს: რეზონანსი, კვირის პალიტრა, 24 საათი. გაზეთების რაოდენობრვმა ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ამ გაზეთებში კულტურის თემაზე გამოქვეყნებული იყო:

**რეზონანსი – 10 სტატის ( თუ არ ჩავთვლით „რეზონანსის“ ყოველკვირეულ დამატებას „გალაქტიონი“,რომელიც უფრო ლიტერატურული დამატებაა,თუმცა კულტურის სხვა სფეროებასაც მოიცავს)**  
**24 საათი– 38 სტატია**  
**კვირის პალიტრა –24 სტატია**

### შინაარსობრივი სტრუქტურა

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ გაზეთებში გაცილებით მეტია კრიტიკული სტატიები და თუნდაც ანალიზი, ვიდრე ტვ სიუჟეტებში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, კულტურის თემა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული და არა წმინდა კულტურულ კონტექსტში, მაგალითისთვის ავიღოთ გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაცია.

2011 წლის 27 ოქტომბერს „რეზონანსში“ დაიბეჭდა სტატია „უნიკალური სვანური საგანძურის განადგურების საფრთხე გაიზარდა“. საუბარია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ საგანძურზე, რომელიც რეკონსტრუქციის გამო 28 ივნისიდან კონტეინერებშია ჩაკეტილი. ავტორი ცდილობს მაქსიმალურად დაგვანახოს, თუ რა საფრთხეს უქმნის ეს ფაქტი თავად საგანძურს. მაგრამ თემა გარკვეულ შემთხვევაში ცდება მხოლოდ კულტურულ ჭრილში საკითხის განხილვას და პოლიტიზირებული სტატიის სახეს იღებს. სტატიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია პარლამენტის პლენარულს სხდომაზე სვანეთის საგანძურის საკითხის ირგვლივ გამართულ მწვავე დებატებზე, ვკითხულობთ: „ფრაქციის სხდომაზე ხელისუფლების წარმომადგენლები არ მისულან და რომც მისულიყვნენ, პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძის და გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, მინიმუმ უკან



**წაიღებდნენ წინა დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს, რომ საგანძური შესანიშნავადაა დაზინავენული და აჟიოტაჟის საფუძველი არ არსებობს“**

ამ ტექსტში აშკარად ჩანს ავტორის დამოკიდებულება თავად მოვლენის და მოვლენაში ჩართული პირების მიმართ. მაშინ როცა საქმე ამ მართლაც პრობლემურ საკითხს ეხება, ასეთმა დამოკიდებულებამ შესაძლოა მკითხველში უკურეაქცია გამოიწვიოს. რადგან თავისი შინაარსით ეს საინფორმაციო შინაარსის სტატიაა და არა რეცენზია კულტურულ მოვლენაზე, სადაც ავტორის (რომელიც ამავდროულად ექსპერტიც შეიძლება იყოს) პოზიცია, შეიძლება, მკვეთრად იყოს გამოკვეთილი.

მნიშვნელოვანია, რომ სტატიაში არ გვხვდება ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია. თუმცა დასაფასებელია, რომ იმავე სტატიაში ვხვდებით უფრო კვალიფიციურ შეფასებებსაც, სადაც ჟურნალისტი ცდილობს პრობლემის სიმწვავე სპეციალისტების კომენტარებით შეაფასოს, რაც მასალას უფრო მეტ დამაჯარებლობას მატებს.

საინტერესოა „რეზონანსში“ 7 ნოემბერს გამოქვეყნებული წერილი „ ვაჟას კონკურსი თუ...?“ რომელიც მუსიკათმცოდნე იუნონა აფაქიძეს ეკუთვნის. ეს წერილი ერთ–ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ირღვევა ხშირად პუბლიკაციებში ნეიტრალური ენა და რამდენად ხშირია დაუსაბუთებელი კრიტიკა, რომელიც ზოგჯერ სიძულვილის ენაშიც კი გადადის. კონკრეტულად ამ შემთხვევაში ავტორი ლანძღავს( ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პროდიუსერ მარინა ბერიძეს. „**ქ–ნი მარინა ბერიძე ტრაზახობს თავის განათლებით, თუმცა ვერ უკრავს. ცოტა ხნის წინ, მან გამოჩენილ მომღერალს ლონდონში კონცერტი ჩაუგდო..... კონსერტვატორიის დამთავრება მან რის ვაი–ვაგლახით შეძლო“** და ა.შ.

აქვე ავტორი იყენებს დამცინავ ფრაზებს „ქალბატონი ერუდიტი“ ,გამარჯვებულთა „შედეგები“, „უვიცები, გაუნათლებლები“ და ა.შ.

მსგავსი ენობრივი ფრაზეოლოგია და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები სოლიდური და ანგარიშვალდებული მედიისთვის აბსოლუტურად მიუღებელი უნდა იყოს.

არადა პუბლიკაციაში აშკარად კონკრეტულად და შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგად არის დასმული მთავარი პრობლემა – ანუ ავტორს სურს მიიღოს პასუხი კითხვაზე –**„რატომ ჩატარდა ვაჟას კონკურსი დახურულად? რატომ არ არის ცნობილი დღემდე კონკურსანტები და მათი რაოდენობა? რატომ არის ჟიურის შემადგენლობა დღემდე უცნობი?“** თუმცა სტატიის ენა და სტილი ამ პრობლემას უკანა პლანზე წევს.

გაზეთ „რეზონანსს“ აქვს ყოველკვირეული დამატება „გალაქტიონი“, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის და მთლიანად ხელოვნებას ეძღვნება. დამატებაში ნახავთ როგორც ლიტერატურულ სიახლეებს, ასევე რევიუს მუსიკაზე, ფოტოგრაფიაზე, მხატვრობასა და ა.შ. აქ შეხვდებით ექსკლუზიურ მასალებს და ისეთ თემებს , რომლებიც სხვაგან არც ერთ ტვ თუ ბეჭდურ გამოშვებაში არ

შეგვხვედრია. მაგალითად ამ მხრივ საინტერესოა 23 ოქტომბრის „გალაქტიონში“ გამოქვეყნებული მასალა მე-19 საუკუნის ქართველ ფოტოგრაფზე ვასილ როინიშვილზე (ავტ.მაია ყაზახაშვილი). ასევე საინტერესოაა გამოქვეყნებული ოქტომბრის ნომრებში თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ლელა ოჩიაურის რეცენზია „მალკოვიჩი ჯოჯოხეთში ეშვება“ იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ქართულ ბეჭდურ მედიაში, რასაც კვალიფიციური შეფასება ეწოდება. ზოგადად, უნდა ითქვას რომ „რეზონანსის“ დამატება „გალაქტიონი“ საკმაოდ საინტერესო გამოშვებაა თუმცა მის პუბლიკაციებს „რეზონანსის“ მთავარი გამოშვების ჭრილში ვერ განვიხილავთ, რადგან ის მხოლოდ ყოველკვირეული დამატებაა.

პრობლემა კარგადაა დასმული ასევე „კვირის პალიტრის“ სტატიაში ოშკის შესახებ. „ოშკის გადარჩენის ეთადერთი გზა?!“–ასე ეწოდება 24–30 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ სტატიას. ავტორი სტატიის დასაწყისშივე გვამცნობს რომ **„ ოშკის ტაძარს გადარჩენის რეალური პერსპექტივა გაუჩნდა. ძეგლთა მსოფლიო ფონდმა ოშკი 2012 წლის საზედამხედველო სიაში შეიტანა“**.

ამის შემდეგ უკვე ავტორი წარგვიდგენს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ირინე გივიაშვილს, რომელიც ერთის მხრივს საუბრობს თავად ამ ფონდის მნიშვნელობაზე და მეორეს მხრივ ყვება, როგორ მოხდა ოშკის შესახებ ფონდში განაცხადის შეტანა. აქვე მოყვანილია მასალები თურქული პრესიდან, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის ტაო–კლარჯეთის ძეგლებზე მოლაპარაკებებს ეხება.

საინტერესოა ასევე 17–23 ოქტომბრის „კვირის პალიტარში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია „ახალი ერა ბერასაგან?!“, რომელსაც ლიდში წამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები\_ რას მოუტანს „კლიპების ომი“ ქართულ შოუბიზნესს?“. სტატია იწყება ბერას კლიპის „ქართული ოცნების“ შინაარსობრივი ანუ ტექსტუალური განხილვით და შემდეგ უკვე ავტორი მის იდეოლოგიურ შინაარსზე გადადის. რეალურად ეს თემა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული. იგივე „კვირის პალიტრის“ შესწავლის დროს საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენა გაზეთის სპეციალური რუბრიკა „ერთი ფოტოს ისტორია“, სადაც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების უცნობი ფოტოარქივიდან მოძიებული ფოტოები იბეჭდება თავისი მოკლე ანოტაციებით. ამ რუბრიკაში შევხვდით, მაგალითად რეზო ინანიშვილის და თენგიზ მირზაშვილის 1970 წელს გადაღებუ ფოტოს, (31 ოქტომბერი–6 ნოემბერი) ასევე ფოტოს ფილმის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ „–ს გადასაღები მოედნიდან ( 17–23 ოქტომბერი) და ა.შ. ასევე საინტერესოა რუბრიკა „50 წიგნი“, სადაც მედიაპალიტრის პროდუქტის ერთგვარ პიარსაც შევხვდებით, მაგრამ ამავე დროს ესაა ცნობილი ნაწარმოებების შესახებ ერთგვარი შეხსენება თანამედროვე მკითხველისათვის. (მაგალითად, 24–30 ოქტომბრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა სტატია ჯორჯ ორუელის ნაწარმოების „1984“–ის შესახებ)

ოშკის თემა როგორც ჩანს ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური იყო ჩვენს მიერ აღებული დროის მონაკვეთში ანუ 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე. მას ვხვდებით გაზეთ „24 საათში“. ავტორი სოფო კილასონია სტატიაში „დავიწყებული ოშკის პერსპექტივა“ პირდაპირ სვამს კითხვას–„გადაარჩენენ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ ძეგლს?“ ავტორი შეფასებებს თავად აკეთებს–**“მაშინდელი პათეტიკაც და სიხარულიც მეცნიერების საკუთრებად დარჩა, ერთმანეთისთვის გაცვლილ სიტყვებად ანდა სადმე ფურცლებზე დარჩენილ ტექსტებად“** და იქვე აკეთებს დასკვას– **„მაგრამ პროცესი კიდევ ერთხელ და უფრო დიდი ხნით შეჩერდა“**.

ავტორი სტატიის დასაწყისში ჯერ ხელოვნებათმცოდნე ირინე გივიაშვილის შესახებ საუბრობს, რომელიც ერთ–ერთი ინიციატორი იყო მსოფლიოს ძეგლთა ფონდში ოშკის შესახებ დოკუმენტაციის წარდგენის და ამის შემდეგ გვთავაზობს ინტერვიუს მარიკა დიდებულისძესთან, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელთან. ესაა ერთგვარი შეფასება და პროგნოზი იმისა, თუ რა ბედი ელის მომავალში ოშკის ძეგლს და რამდენად რეალურია მისი გადარჩენა.

იმავე ავტორს ეკუთვნის 15 ოქტომბრის „24 საათში“ გამოქვეყნებული სტატია „მიმინო–ლამაზი ძეგლი თბილისში“. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ყველაზე სრულფასოვანი შეფასებითი მასალა არამარტო ძეგლის, როგორც მხატვრული ღირებულების, არამედ თავად ამ ძეგლის დადგმის ფაქტისაც. ჟურნალისტი კრიტიკას არ იშურებს მიმინოს ძეგლის ავტორის ზურაბ წერეთლის მიმართ:

**„თუკი პოლიტიკოსების აზრს არ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის ლამაზი მონუმენტი და თანამეგობრობის სიმბოლო, სხვა აღარც არაფერი დაგვრჩება მისი დადგმის „კეთილ“ არგუმენტად.“** „ დააკვირდით როგორი გაშეშებულია ფიგურები, როგორი ფრონტალურად აღქმადია ეს მრგვალი ქანდაკება....რამდენად კიჩური და სასაცილოა ამ ადამიანების გამომეტყველება....“ „ პაკრიშკებით’ ხელდამშვენებული ფრუნზიკა მათდამი (იგულისხმება ეთნიკური სომხები) პატივისცემის გამომხატველი ვერ გახდება და არც უნდა გახდეს....“ ესაა კრიტიკა, თუმცა ვერც ერთ ამ ფრაზას ვერ დავარქმევდით შეურაცხოფას ვისამე პიროვნების და ვერც სიძულვისი ენაში დავადანაშაულებთ ავტორს. თუმცა აქაც თავს იჩენს ერთი პრობლემა– ჟურნალისტი მთლიანად თავის თავზე იღებს კრიტიკოსის და საზოგადოებრივი აზრის გამომხმოვანებლის ფუნქციას. გასაგებია და გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ ავტორი ჟურნალისტური მოღვაწეობის გარდა, ხელოვნებათმცოდნეა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა სხვა კოლეგების კომენტარიც მოეშველიებინა. მითუმეტეს მაშინ, როცა სტატიაში ის მოგვითხრობს იმ საპროტესტო აქციაზე რომლის მთავარი ლოზუნგი იყო “STOP ZURA” და რომლის თანხლებითაც გაიმართა ძეგლის გახსნა. ზემოთ

ჩვენ ამ სტატიას სრულფასოვანი შეფასება იმიტომ ვუწოდეთ, რომ სხვა პუბლიკაციებისგან განსხვავებით აქ მეტ-ნაკლებად, საკითხის როგორც ღირებულებით, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტია გადმოცემული. ზოგადად გაზეთ „24 საათის“ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ გამოცემა ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია, რომელიც საქართველოში მიმდინარე თანამედროვე ხელოვნების თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან მოვლას გვერდს არ უვლის-იქნება ეს თანამედროვე არტი, კინო თუ მუსიკა. არ გამორჩენია ჟურნალისტი ია ვეკუას გიორგი მასხარაშვილის ფილმი „მესაათეც“, რომლის პრემიერა თბილისში ოქტომბერში შედგა. ( 24 საათი, 24 ოქტომბერი). რუბრიკაში „რევიუ“ განხილულია გიორგი მასხარაშვილის ახალი ფილმი, რომლისგანაც სტატიის ავტორი აშკრად მეტს ელოდა და საბოლოოდ მისი თქმით, ხელში შერჩება ფილმი, ცრომელშიც „**მაყურებელი ბევს ვერაფერს იღებს, მეტიც, ფილმის შუაში ხვდები რომ აღარც ის გაინტერესებს, რაც უკვე ნახე და არც ის, რაც შეიძლება ფინალში მოხდეს**“. აქვე ავტორი კიდევ ერთ ახალ ფილმს ეხება, გაია კაჭარავას „**თოჯინების სახლი**“, რომლის ტრეილერიდანაც ია ვეკუას თქმით, ჩანს რომ „**ის უფრო ცუდია, ვიდრე „მამაჩემის გერლფრენდი**“, „**გოგონა სლაიდიდან**“ ან „**მაიტა ნასოსი**“. ამ მოსაზრებების გასამყარებლად ავტორს მოჰყავს ისეთი არგუმენტები, როგორცაა მსახიობთა „**რობოტული**“ მეტყველება, უაზროდ ბევრი ლაპარაკი, გაჭიანურებული სცენარი და ა.შ. საბოლოოდ კი ჟურნალისტი ასკვნის-**“მესაათეში“ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, როგორც წესი, იმაზე რაც მაყურებელმა უბრალოდ უნდა დაინახოს, მიხვდეს, გაიგოს-კინო ხომ ვიზუალური ხელოვნებაა და არა გაზეთში დაბეჭდილი სტატია**“.

განსხვავებულად აფასებს იგივე ავტორი, „24 საათის“, 9 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში ქეთი მაჭავარიანის ფილმს „**მარილივით თეთრი**“. ამჯერად ავტორი უფრო პოზოტიურადაა განწყობილი ფილმის მიმართ, რომელმაც კოტბუსის ევროპული კინოს კინოფესტივალზე 2 ჯილდო მიიღო-საუკეთესო დებიუტისთვის და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ჟურნალისტის და ჟიურის აზრი, როგორც ჩანს ერთმანეთს ემთხვევა-**“ ფილმის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ჩამოყალიბებული, პრაქტიკულად ბოლომდე გახსნილი პერსონაჟებია**“

24 საათს აქვს დამატება WEEKEND რომელიც ასევე მხოლოდ კულტურულ მოვლენებს აშუქებს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც გაზეთის მთავარი გამოშვება ჩამოუვარდება მას მთავარი კულტურული მოვლენების გაშუქების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „**არტისტერიუმი**“, რომელიც საქართველოში მოღვაწე თანამედროვე არტისტებისთვის მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, პრესაში და მათ შორის „24 საათში“ სრულყოფილად გაშუქდა. 2 კვირის მანძილზე გამართულ არტისტერიუმს გაზეთი რეგულარულად უძღვნიდა პუბლიკაციებსა და სტატიებს. პირველი

პუბლიკაცია 1 ნოემბერს გამოქვეყნდა სათაურით “ თავისუფალი ვარდნა თავისუფალი სივცრის ასათვისებლად“,სადაც როგორც სათაურიდანაც ჩანს საუბარია თავად არტისტერიუმის მნიშვნელობასა და იმ სივცრის დანიშნულებაზე,რომელიც აშკარად ასათვისებელია საქართველოში თავისუფალი არტისტების მიერ. სტატიაში არის ასევე საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ არტისტერიუმის კურატორთან,მაგდა გურულთან.

## საინფორმაციო წყაროები და ჟურნალისტური სტანდარტები ბეჭდურ მედიაში

მიუხედავად იმისა, რომ თემატიკა კულტურას ეხება, მონიტორინგის პერიოდში ხშირია შემთხვევა, როცა სტატიაში წყაროდ გამოყვანილია რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ან პოლიტიზირებული პიროვნება, რომელიც საკითხს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს. მაგალითად, სვანეთის საგანძურის შესახებ მასალაში, (გაზეთი „რეზონანსი“,27 ოქტომბერი ძირითადი წყარო არის მედიაკავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტი, რომელიც როგორც თვითმხილველი,ისე ყვება ამბავს. დამატებით წყაროებად კი ავტორს მოყავს საგანძურის გადასარჩენად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წევრების კომენტარები, რაც მისასალმებელია. მაგრამ ეს დაინტერესებული მხარეა. ალბათ უმჯობესი იქნებოდა თავად ჩასულიყო ადგილზე და საკუთარი თვალით ენახა კორესპონდენტს სვანეთის საგანძურის მდგომარეობა ანუ ფაქტი გადაემოწმებინა ან ადგილზე ან ნეიტრალურ პერსონებთან. ხშირია შემთხვევები, როცა ავტორები მთლიანად ერთი მხარის გავლენის ქვეშ ექცევიან და საერთოდ უგულვებელყოფენ მოპასუხე მხარეს. ასევე შეინიშნება წყაროს მოხსენიება განზოგადებულად, მაგალითად,“ამბობენ“, „როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა“, „სპეციალისტთა განცხადებით“ და ა.შ.

ქართულ პრესაში ხშირია შემთხვევა, როცა ჟურნალისტი თავად გვევლინება წყაროდაც და მოვლენის შემფასებლადაც, რაც იმაზე მიუთითებს რომ ხშირად თავად ჟურნალისტები მიკერძოებულები არიან და ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშ ექცევიან, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება ჟურნალისტური სტანდარტების დაცვაზე. შეიძლება ითქვას, რომ კულტურის საკითხების გაშუქების დროსაც საქართველოში პრობლემას წარმოადგენს როგორც ბალანსის დაცვა, ასევე წყაროს გადამოწმება.

## სათაურები

სათაურებად ხშირად გამოტანილია ან რესპოდენტის სიტყვები, ან ფრაზები, სადაც თავად მოვლენის სათაური დომინირებს.მაგალითად, „2 **ჯილდო მარილივით თეთრს**“ ( 24 საათი) თუმცა ხშირად,სადაც სათაური კითხვის ფორმითაა დასმული,ჩანს ერთგვარი დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა ,

რომელსაც ჟურნალისტი თავად სთავაზობს მკითხველს. მაგალითად, „1984–წარსული, აწმყო თუ მომავალი“, – (კვირის პალიტრა); „ვაჟას კონკურსი თუ...?“ – (რეზონანსი)

ზოგადად ხშირია კითხვის ფორმის სატაურები, ამასთან – ზოგიერთ შემთხვევაში სტატიაში ვლენულობთ პასუხს სატაურში გამოტანილ კითხვაზე, ზოგჯერ კი – არა.

## ძირითადი ტენდენციები

კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ ძირითადი მესიჯები, რომელიც ქართულ პრესაში კულტურის თემების გაშუქების დროს გვხვდება, შემდეგია – საფრთხე რომელიც ემუქრება კულტურულ ძეგლებს; მიკერძოებულობა და არაობიექტურობა შოუბიზნესში; უგემოვნება და დაბალი ხარისხი ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში (კინო, მუსიკა და ა.შ.); გულგრილობა კულტურის სფეროში არსებული პრობლემების მიმართ ხელისუფლების მხრიდან და სხვ.

თუმცა არის პოზიტიური მესიჯებიც, რომლებიც ძირითადად ისევ და ისევ კულტურული ძეგლების დასაცვას ან რომელიმე სფეროში ქართველი ხელოვანების წარმატებას ეხება. პოზიტიურ მესიჯებს ვხვდებით სარეკლამო სტატიებში, (მაგალითად 15 ოქტომბრის რეზონანსში, ლელა ოჩიაურის სტატია „სინათლის სადიდებელი ოდა ელი სააბისგან“, რომელიც ქართულ ბაზარზე ელი სააბის ახალი სუნამოს შემოტანას ეხება.) პოზიტიურ მესიჯებს ვხვდებით ასევე რაიმე უნიკალური აღმოჩენის ან ძველი ქართული კულტურის ამბების გაშუქების დროსაც.

*ზოგადად, კვლევამ აჩვენა, რომ სატელევიზიო სიუჟეტები უფრო დაბალანსებულია და ერთგავარად უფრო ახლოსაა პროფესიულ სტანდარტებთან, ვიდრე საგაზეთო პუბლიკაციები. თუმცა, ამავე დროს – ტელემედიაში, პრესისგან განსხვავებით, პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი კულტურის პრობლემების განხილვა და ანალიზი;*

*ამასთან, ორივე შემთხვევაში ვხვდებით ერთსა და იმავე პრობლემას – წყარო არის ხშირად ნაკლებად სარწმუნო, ჟურნალისტები საუბრობენ თითქმის ერთი და იგივე ტექსტებით, ხშირად ადგილი აქვს პროპაგანდას და არა ჟურნალისტიკას (ეს ძირითადად ტვ–ს ეხება) და არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტი მიკერძოებულია (ეს ეხება როგორც ტვ–ს, ასევე პრესასაც). ორივეგან ვხვდებით ასევე საკითხის ნაკლებად ჩაღრმავების პრობლემას და სკანდალურ ტონს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებისგან ქართული ჟურნალისტიკის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შორსაა.*